საჯარო სამართლის იურიდიული პირი
**ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი**

# ბრძანება

ქ. თბილისი

N 4216-03
14/12/2020

**„ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის საბაკალავრო, სამაგისტრო და სადოქტორო პროგრამების, დიპლომირებული მედიკოსის პროგრამისა და ქართულის, როგორც მეორე ენისა და ინტეგრაციის პროგრამის სტუდენტებისთვის 2020-2021 სასწავლო წლის აკადემიური კალენდრის დამტკიცების შესახებ“ რექტორის 2020 წლის31 აგვისტოს N2543-03 და „ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამების სტუდენტებისათვის 2020-2021 სასწავლო წლის აკადემიური კალენდრის დამტკიცების შესახებ“ რექტორის 2020 წლის 2 ოქტომბრის N3508-03 ბრძანებებში ცვლილების შეტანის შესახებ**

„უმაღლესი განათლების შესახებ” საქართველოს კანონის 22-ე მუხლის 1-ლი პუნქტის, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 63-ე მუხლისა და საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2013 წლის 11 სექტემბრის №134/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საჯარო სამართლის იურიდიული პირის ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის“ წესდების მე-18 მუხლის 1-ლი და მე-6 პუნქტების საფუძველზე, ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს 2020 წლის 11 დეკემბრის N11 სხდომის გადაწყვეტილების გათვალისწინებით,

**ვბრძანებ**

1. შევიდეს ცვლილება „ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის საბაკალავრო, სამაგისტრო და სადოქტორო პროგრამების, დიპლომირებული მედიკოსის პროგრამისა და ქართულის, როგორც მეორე ენისა და ინტეგრაციის პროგრამის სტუდენტებისთვის 2020-2021 სასწავლო წლის აკადემიური კალენდრის დამტკიცების შესახებ“ რექტორის 2020 წლის 31 აგვისტოს N2543-03 ბრძანების დანართში და ჩამოყალიბდეს პირველი დანართის სახით;

2. შევიდე ცვლილება „ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამების სტუდენტებისათვის 2020-2021 სასწავლო წლის აკადემიური კალენდრის დამტკიცების შესახებ“ რექტორის 2020 წლის 2 ოქტომბრის N3508-03 ბრძანების დანართში და ჩამოყალიბდეს მეორე დანართის სახით;

3. დაევალოს უნივერსიტეტის საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურს, ამ ბრძანებაში მითითებული ინფორმაცია განათავსოს უნივერსიტეტის ვებ.გვერდზე;

4. დაევალოს უნივერსიტეტის კანცელარიას, ეს ბრძანება გააცნოს უნივერსიტეტის ფაკულტეტებს/სკოლას და ყველა სტრუქტურულ ერთეულს.

გიგა ზედანია

რექტორი